აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №51

10 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

მერაბ კოსტავას საზოგადოების მიერ ხულოს 84/12 საარჩევნო ოლქში წარმოდგენილ მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიაში მერაბ კოსტავას საზოგადოების პარტიული სიით ხულოს 84/12 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენილია სემიე ბოლქვაძე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა, რომელიც ოლქში წარადგენს მაჟორიტარ კანდიდატს უსკ-ში პარტიული სიის წარდგენასთან ერთად იმავდროულად სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს მის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის მხარდამჭერთა სია.

მერაბ კოსტავას საზოგადოებას ხულოს 84/12 საოლქო კომისიაში არ წარუდგენია მის მიერ მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენილი სემიე ბოლქვაძის მხარდამჭერთა სია, რითაც დარღვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 22-ე მუხლის მოთხოვნა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმ**ად** ვ ა დ გ ე ნ:

1 უარი ეთქვას რეგისტრაციაზე სემიე ბოლქვაძეს, როგორც კოსტავას საზოგადოების მიერ ხულოს 84/12 საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს .

2 ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში 3 კალენდარული დღის განმავლობაში

3 ეს განკარგულება ძალაში შედის მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა